1965/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 10 (279) 10 აპრილი 1965 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

171. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საფრანგეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ს. ა. ვინოგრადოვის განთავისუფლების შესახებ.

172. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საფრანგეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. ა. ზორინის დანიშვნის შესახებ.

173. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ნ. ი. ტარაკანოვის განთავისუფლების შესახებ.

174. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლ. ა. კორობინის დანიშვნის შესახებ.

175. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ტ. მაზუროვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

176. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. თ. უსტინოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

177. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ნ. ნოვიკოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

178. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სასაზღვრო წყალთა სისტემებზე საბჭოთა კავშირ-ფინეთის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

179. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის 1966-1970 წლების პერიოდის საქონელბრუნვასა და გადასახდელებზე დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

საქ. სსრ სახ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

180. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უგანდის მთავრობას შორის ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
181. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უმაღლესი განათლების მქონე ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადის შესახებ.
182. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ელექტროენერგიისა და თბოენერგიის დაუზოგველი ხარჯვისათვის თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.
183. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ტოპჩიევის სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

განყოფილება მეორე

184. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
185. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ბორკოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
186. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. გორეგლიადის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
187. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ი. ლ. ლეს (მოისიას) „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
188. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ე. თ. ნიკიტინას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
189. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ტ. შევჩენკოს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს მ. ხოლოვს რწმუნების სიგელები გადასცა ავსტრალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯონ რასელ როულენდმა.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

190. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ.

განყოფილება მეორე

191. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

171 საფრანგეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ს. ა. ვინოგრადოვის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს სერგი ალექსანდრეს ძე **ვინოგრადოვი** საფრანგეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 18 მარტი.
№ 3357-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

172 საფრანგეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. ა. ზორინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვალერიან ალექსანდრეს ძე **ზორინი** საფრანგეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 18 მარტი.
№ 3358-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

173 ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ნ. ი. ტარაკანოვის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ნიკოლოზ იაკობის ძე **ტარაკანოვი** ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 25 მარტი.
№ 3381-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

174 ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლ. ა. კოროგინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ლეონიდე არკადის ძე **კოროგინი** ცეილონში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 25 მარტი.
№ 3382-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

175 ამხ. კ. ტ. მაზუროვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. კირილე ტროფიმეს ძე **მაზუროვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 26 მარტი.
№ 3385-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

176 ამხ. დ. თ. უსტინოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. დიმიტრი თევდორეს ძე **უსტინოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 26 მარტი.
№ 3386-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

177 ამხ. ვ. ნ. ნოვიკოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **ნოვიკოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 26 მარტი.
№ 3387-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

178 სასაზღვრო წყალთა სისტემებზე საბჭოთა კავშირ-ფინეთის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის სასაზღვრო წყალთა სისტემებზე, ხელმოწერილი ჰელსინკში 1964 წლის 24 აპრილს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 27 მარტი.
№ 3388-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

179 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის 1966-1970 წლების პერიოდის საქონელბრუნვასა და გადასახდელებზე დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება 1966-1970 წლების პერიოდის საქონელბრუნვასა და გადასახდელებზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთის რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი მოსკოვში 1964 წლის 14 აგვისტოს **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 27 მარტი.
№ 3389-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

180 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უგანდის მთავრობას შორის ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უგანდის მთავრობას შორის, ხელმოწერილი კამპალაში 1964 წლის 30 ნოემბერს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 27 მარტი.
№ 3390-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

181 უმაღლესი განათლების მქონე ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადის შესახებ

„საყოველთაო სამხედრო სამსახურის შესახებ“ სსრ კავშირის 1939 წლის 1 სექტემბრის კანონის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1939 წ., № 32) დამატებად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს უმაღლესი განათლების მქონე ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთათვის ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადად ერთი წელიწადი.

დადებითი ატესტაციით ეს პირნი დაიშვებიან გამოცდებზე თადარიგის ოფიცრის წოდების მისაღებად. გამოცდების ჩაბარების ვადებსა და წესს ადგენს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო.

2. 1965 წლიდან სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ დღის, საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში, მათს ფილიალებსა, ფაკულტეტებსა და განყოფილებებში, აგრეთვე უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელ ქარხნებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა გაუგრძელდეთ უმაღლესი განათლების მიღებამდე.

3. ეს ბრძანებულება შეტანილ იქნეს დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 27 მარტი.

№ 3392-VI

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

182 ელექტროენერგიისა და თბოენერგიის დაუზოგველი ხარჯვისათვის თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

ელექტროენერგიისა და თბოენერგიის დაუზოგველი ხარჯვისათვის პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ ელექტროენერგიისა და თბოენერგიის დაუზოგველი ხარჯვისათვის დამნაშავე თანამდებობის პირთა მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის ზომად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება ან ჯარიმა 50 მანეთამდე.

2. ელექტროენერგიისა და თბოენერგიის დაუზოგველი ხარჯვისათვის ამ ბრძანებულების 1 მუხლით დაწესებული ადმინისტრაციული სასჯელის ზომები შეიძლება მიუყენონ იმ შემთხვევაში, თუ

1) სისტემატურად, საწარმოო საჭიროების გარეშე არასრულად დატვირთავენ ან უქმი სვლით გამოიყენებენ ელექტროძრავებს, ელექტროღუმელებს და სხვა ელექტრომოწყობილობას და თბომოწყობილობას;

2) სისტემატურად აშკარად კარგავენ შეკუმშულ ჰაერს, წყალს და სითბოს არმატურის, მილსადენების, მილსადენების სითბოიზოლაციის, ღუმელებისა და სითბოს გამომყენებელი მოწყობილობის უწესივრობით;

3) ენერგომომმართველი ორგანიზაციის ნებართვის გარეშე ელექტროენერგიას იყენებენ სამსახურისა და სხვა შენობების გასათბობად, აგრეთვე საწარმოო პროცესით გაუთვალისწინებული მიზნებისათვის;

4) უყაირათოდ იყენებენ ელექტროენერგიას განათებისათვის.

3. ელექტროენერგიისა და თბოენერგიის დაუზოგველი ხარჯვისათვის ამ ბრძანებულების 1 მუხლით დაწესებული ადმინისტრაციული სასჯელის ზომები შეიძლება მიუყენონ ამაში დამნაშავე შემდეგ თანამდებობის პირებს: საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, საწარმოთა მთავარ ინჟინრებს, მთავარ ენერგეტიკოსებს (მთავარ მექანიკოსებს), საამქროთა უფროსებს, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სასჯელის ზომებს გამოიყენებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები. ადმინისტრაციული კომისიის მიერ ელექტროენერგიისა და თბოენერგიის დაუზოგველი ხარჯვის საქმის განხილვის საფუძველს წარმოადგენს აქტი, რომელსაც შეადგენს სახელმწიფო ენერგეტიკული ზედამხედველობის ორგანოს რწმუნებით აღჭურვილი თანამდებობის პირი.

5. ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენება, აგრეთვე ადმინისტრაციულ სასჯელთა დადების დადგენილებათა გასაჩივრება უნდა მოხდეს იმ წესით, რომელსაც ითვალისწინებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულება „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ და ამის შესაბამისად მიღებული მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჭოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 27 მარტი.
№ 3442-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

183 ამხ. ა. ვ. ტოპჩიევის სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ალექსი ვასილის ძე **ტოპჩიევი** სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მისი თხოვნით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჭოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 29 მარტი.
№ 3444-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

184 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაშა ერმალოზის ასულ **ბენდელიანს** — დიასახლისს, ლენტეხის რაიონის სოფელი დურაში.

2. სოფიო გიორგის ასულ **ბერიანიძეს** — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელი დადიანეთი.

3. კლავდია პავლეს ასულ **ბულისკერიას** — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი.

4. გოჰარიკ არშალუისის ასულ **გალსტიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი დაბნია.

5. ნადეჟდა იაგორის ასულ **გობოზოვას** — დიასახლისს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის სოფელი ზნაური.

6. ნურიპა ზაბიტოს ასულ **დუმბაძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელი ბაკო.

7. სონჩკა ჩიპსის ასულ **ენიკს** — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელი ბარმიში.

8. ოლღა კუჩუს ასულ **ეს-ოლლის** — ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.

9. თათუშა გრიგოლის ასულ **ქარდავას** — მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.

10. ახათ ყზი **მოხტაბარს** — არახლოს მერძეველობა-მებოსტნეობის მეურნეობის მუშას, ბოლნისის რაიონი.

11. ზახო ასოს ასულ **ნავროზიანს** — მუშას, ქალაქი თბილისი.

12. ხანუმ ხატიტოს ასულ **რაშოევას** — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.

13. აბას ყზი **სალათინს** — კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ლაგოდეხის რაიონი.

14. ხაჯა ალის ასულ **ფალავას** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელი ჩაისუბანი.

15. ლუბა დავითის ასულ **წიწვიძეს** — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ჭიათურის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 27 მარტი.

№ 3427-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

185 ამხ. ბ. ა. ბორკოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ამხ. გენადი ანდრიას ძე **ბორკოვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 29 მარტი.
№ 3443-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

186 ამხ. ა. ა. გორეგლიადის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრწველობის დარგის განვითარებასა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში მრავალწლიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი ალექსი ადამის ძე **გორეგლიადი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 29 მარტი.
№ 3445-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

187 მწერალ ი. ლ. ლეს (მოისიას) „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ივანე ლეონტის ძე **ლე (მოისია)** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 მარტი.
№ 3451-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

188 მწერალ ე. თ. ნიკიტინას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ევდოკია თევდორეს ასული **ნიკიტინა** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 მარტი.
№ 3452-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

189 პროფესორ ი. ტ. შევჩენკოს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პროფესორი ივანე თეოდოსის ძე **შევჩენკო** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 მარტი.
№ 3453-VI.

გაყნოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს მ. ხოლოვს რწმუნების სიგელები გადასცა ავსტრალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯონ რასელ როულენდმა

23 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ხოლოვმა კრემლში მიიღო ავსტრალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ჯონ რასელ როულენდი, რომელმაც გადასცა თავის რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩეველი ჯ. დ. პეტერბრიჯი, პირველი მდივანი გ. კლარკი, მეორე მდივანი რ. ბენეტი და ატაშე დ. უოლესი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, მ. ხოლოვსა და ჯ. რ. როულენდს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. პ. ფირიუბინმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 30 მარტის ბრძანებულებებით ლენინის ორდენებით დააჯილდოვა რუსეთის სფს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ტრესტი „აპატიტსტროი“ მურმანსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ს. მ. კიროვის სახელობის კომბინატ „აპატიტის“ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისა და სამრეწველო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედების უზრუნველყოფისათვის და ს. მ. კიროვის სახელობის კომბინატი „აპატიტი“ აპატიტის კონცენტრატის გამოშვების სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებისათვის.

№ 2 აპატიტ-ნეფელინის გამამდიდრებელი ფაბრიკის და ს .მ . კიროვის სახელობის კომბინატ „აპატიტის“ მთამადნეულის ბაზის მშენებლობასა და სამრეწველო სიმძლავრეთა ათვისებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 30 მარტის ბრძანებულებებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა ტრესტ „შახტსპეცსტროის“ სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოთა სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის კიროვის სამთო უბნის მემონტაჟე გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირს ა. თ. ალტინიკოვს, ტრესტ „აპატიტსტროის“ სამშენებლო სამმართველო „პრომსტროის“ მეარმატურეთა ბრიგადირს ა .ი. ტერეხოვს, ს. მ. კიროვის სახელობის კომბინატ „აპატიტის“ კიროვის სახელობის მაღაროს ამფეთქებელ გვირაბგამყვანს მ. თ. ჩუიკინს და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 197 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომელთაც გამოიჩინეს თავი ს. მ. კიროვის სახელობის კომბინატ „აპატიტის“ მშენებლობასა და საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებაში.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „აპატიტსტროის“ სპეციალიზებული სამმართველო „ოტდელსტროის“ მღებავთა ბრიგადირი ა. ს. ალექსეევი, ტრესტ „აპატიტსტროის“ სამშენებლო სამმართველო „აპატიტსკოეს“ დურგალთა ბრიგადირი ვ. გ. ვეკშინი, ტრესტ „აპატიტსტროის“ მმართველი ვ. კ. ეგოროვი, მაღარო „იუკსპორის“ სამთო ოსტატი ვ. ა. რუსინოვი, № 2 აპატიტ-ნეფელინის გამამდიდრებელი ფაბრიკის უფროსი ფლოტატორი მ. ი. სტაროდუბცევი, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოთა სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის ტრესტ „მეტალურგპროკატმონტაჟის“ კიროვის სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირი ვ. ს. სუროვცევი და ტრესტ „აპატიტსტროის“ სამშენებლო სამმართველო „აპატიტსკოეს“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ვ. პ. შადრინი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 27 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 57, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 55 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 51 კაცი.

ბრძანებულებები ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

XVIII ზაფხულის და IX ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით გამოსვლასა და თვალსაჩინო სპორტული მიღწევებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 30 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 123 სპორტსმენი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 15 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 34, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 43 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 31 კაცი.

ბრძანებულებები ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ

რ ს ფ ს რ

ვორონეჟის ოლქის ქალაქ ლისკის ქალაქ გეორგიუ-დეჟად გადარქმევის შესახებ

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გეორგე გეორგიუ-დეჟის ხსოვნის უკვდავსაყოფად რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 23 მარტის ბრძანებულებით ვორონეჟის ოლქის ქალაქ ლისკის დაარქვა ქალაქი **გეორგიუ-დეჟი**.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

190 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩატარდა ამომრჩეველთა მაღალი აქტივობისა და ორგანიზებულობის, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის მონოლითური ერთიანობის ვითარებაში, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. ყველა საბჭოში დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლოდ ხმა მისცა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,95 პროცენტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად შექმნილი იყო 51.453 საარჩევნო კომისია, რომელთა შემადგენლობაში მუშაობდა 193.800 კაცი.

რესპუბლიკაში არჩეულია 1 საოლქო, 62 რაიონული, 44 საქალაქო, თბილისის 7 რაიონული, 897 სასოფლო და 46 სადაბო საბჭოს დეპუტატები, სულ 47.476 დეპუტატი.

არჩეულ დეპუტატთა შორის 43,8 პროცენტი ქალია, 52,5 პროცენტი უპარტიო, 60,8 პროცენტი წარმოების მუშა და კოლმეურნეა. დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან 57,6 პროცენტი არ ყოფილა გასული მოწვევის ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი საბჭოს აღმასკომს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ნაკლოვანებებიც ჰქონდა. მთელი რიგი საბჭოების აღმასკომები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდნენ ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ დაზუსტებული ცნობების წარმოდგენის საქმეს.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შედეგების შესახებ ზუგდიდის რაიონული საბჭოს აღმასკომიდან წარმოდგენილ ცნობაში ნაჩვენები იყო, რომ რაიონის სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა შორის სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია 461, ფაქტიურად კი 446, რეგისტრაციის დროს კოლმეურნეებად ნაჩვენები იყო 605, ფაქტიურად კი არის 449. ხობის რაიონის სასოფლო საბჭოების დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეულია 234 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, რეგისტრაციის დროს კი ნაჩვენები იყო 289.

ანალოგიური არასწორი ცნობები წარმოადგინეს ახალქალაქის, ლანჩხუთის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ რაიონებისა და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა.

აღსანიშნავია, რომ გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფისა და ახალქალაქის რაიონის სოფელ ალასტნის სასოფლო საბჭოების არჩევნების თითო საარჩევნო ოლქში არჩევნები არ ჩატარებულა დეპუტატობის კანდიდატების შემადგენლობიდან (არჩევნებამდე) კანდიდატების გასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ახლად არჩეული საბჭოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნეს მათი ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს:

ა) აღრიცხონ, შეისწავლონ და განაზოგადონ წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩეველთა მიერ დაყენებული საკითხები, მიიღონ საჭირო ზომები მათ განსახორციელებლად და ამ წინადადებების განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებანი დროულად აცნობონ ამომრჩევლებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ფართოდ გააცნონ საბჭოების დეპუტატებს მათი უფლება-მოვალეობანი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დეპუტატების მუშაობის გამოცდილების განზოგადებას;

გ) სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებასა და მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა-განხილვაში ფართოდ ჩაებან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

დ) პერიოდულად ჩაატარონ დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირები მათი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, ქვემდგომი საბჭოებისათვის პრაქტიკულ საქმიანობაში დახმარების გაწევის მიზნით, სისტემატურად მიავლინონ პასუხისმგებელი მუშაკები ადგილზე, ამასთან პერიოდულად ჩაატარონ საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელთა საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარები.

4. მიღებულ იქნეს ცნობად საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგის ამხ. მ. პ. ბაღათურიას განცხადება, რომ ახალქალაქის და გარდაბნის რაიონების იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც არჩევნები არ ჩატარებულა, არჩევნები ჩატარდა დამატებით დებულების სრული შესაბამისობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 1 აპრილი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

191 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის შედგენისა და გამოცემის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. პოლიევქტ ლუკას ძე **გაჩეჩილაძე** — მე-7 ტომის რედაქტორი.
2. ივანე მოსეს ძე **გიგინეიშვილი** — მთავარი რედაქციის წევრი, მე-8 ტომის რედაქტორი.
3. ვარლამ ტრიფონის ძე **თოფურია** — მთავარი რედაქციის წევრი, მე-3 ტომის რედაქტორი.
4. ოტია ილარიონის ძე **კახაძე** — მე-5 ტომის რედაქტორი.
5. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **კეცხოველი** — მთავარი რედაქციის წევრი.
6. ვიქტორ დიმიტრის ძე **კუპრაძე** — მთავარი რედაქციის წევრი.
7. ქეთევან ბესარიონის ასული **ლომთათიძე** — მთავარი რედაქციის წევრი, მე-7 ტომის რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. თამარ ნიკოლოზის ასული **ლომოური** — მთავარი რედაქციის წევრი, რეცენზენტი.

9. სტეფანე ბაგრატის ძე **მენთეშაშვილი** — მთავარი რედაქციის წევრი, მე-7 ტომის რედაქტორი.

10. მერი ვასილის ასული **მესხიშვილი** — მე-6 ტომის რედაქტორი.

11. ბიძინა არსენის ძე **ფოჩხუა** — მე-8 ტომის რედაქტორი.

12. თინათინ სიმონის ასული **შარაძენიძე** — მე-6 ტომის რედაქტორი.

13. არნოლდ სტეფანეს ძე **ჩიქობავა** — კომისიის თავმჯდომარე, მთავარი რედაქტორი, 1-ლი და მე-4 ტომების რედაქტორი.

14. გიორგი ვასილის ძე **წერეთელი** — მთავარი რედაქციის წევრი, მე-2 ტომის რედაქტორი.

15. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ჭაბაშვილი** — კომისიის სწავლული მდივანი, მე-4 ტომის რედაქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 31 მარტი.

ბანკოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 1 აპრილის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 463 მრავალშვილიანი დედა, მათ **ბორის:**

ქ. თბილისიდან		29
ქ. რუსთავიდან		23
ახალქალაქის	რაიონიდან	25
ახალციხის	„	9
ბოგდანოვკის	„	38
გურჯაანის	„	1
თიანეთის	„	1
ზუგდიდის	„	21
თელავის	„	8
მესტიის	„	9
მცხეთის	„	11
ორჯონიკიძის	„	27
სამტრედიის	„	9
სიღნაღის	„	10
წალკის	„	54
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქიდან		188